

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

## ოქმი №3

ქ.ვანი. თავისუფლების ქ. N 65

22.02. 2021 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე. (დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა: რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე. სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

### მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - **ვანდა გიორგაძე**.

სხდომა 13<sup>00</sup>-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 22 თებერვლის ბიუროს სხდომის

### დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი ფრაქციის „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის“ დაფუძნების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

3. „...ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

4.„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: ვანდა გიორგაძე

6. ვანის მუნიციპალიტეტის მერისათვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთვის (ს/კ 41267097) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

7. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ:

მომხსენებელი: კობა მაღლაკელიძე

8.„ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: ვანდა გიორგაძე

9. სხვადასხვა

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2021 წლის 22 თებერვლის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ საკრებულოს ბიუროს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს გაუქმების შესახებ;

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ ინფორმაციის სახით წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი ფრაქციის „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის“ დაფუძნების შესახებ.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 05 თებერვლის N 168 განკარგულებით და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის N 147 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მერსამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2020 წელში მიღებული დადგენილებით მიწის ნაკვეთი ნორმატიული ფასები არ შეცვლილა და 2021 წელშიც რჩება იგივე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% ,საჭიროა საკრებულოს თანხმობა ამ ხელშეკრულების დადების თაობაზე. ხელშეკრულება ფორმდება შ.პ.ს „ორიენტირ“-თან შემდეგი მიზნით.დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ღირებულებით -604890 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიადი კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისათვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთვის (ს/კ 41267097) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს მიწის ნაკვეთი მდებარეობს მუზეუმთან ახლოს, ამ ნაკვეთზე გაკეთდება წყლის რეზერუარი, რომლითაც არქეოლოგიური მუზეუმს მიეწოდება წყალი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2021 წლის 22 თებერვლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს აპარატის უფროსმა, კობა მაღლაკელიძემ ინფორმაციის სახით გააცნო ბიუროს წევრებს აპარატის მიერ 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. (დანართი N1) მომხსენებელმა დადებითათ შეაფასა გასული წლის საკრებულოს აპარატის მუშაობა.

ბიუროს წევრების მხრიდან ამ ინფორმაციაზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-8 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ ინფორმაციის სახით წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა აღნიშნა:

ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს ვანის მუნიციპალიტეტის მერის N20 1478 ბრძანებით და განისაზღვრა 3604879 ლარით. 2020 წლის განმავლობაში შესყიდვების გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2020 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერის N 20 1358 ბრძანებით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 10 258 331 ლარი.

2020 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იყო 76 ელექტრონული ტენდერი. აქედან: არ შედგა 15; უარყოფითი შედეგით დასრულდა 2; შეწყდა 3; გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 56 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-

ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 5 644 446 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 98 ხელშეკრულება.

მათ შორის: მონეტარული ზღვრების დაცვით 59 ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 76 951 ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP მოდულის მეშვეობით მიღებული თანხმობის საფუძველზე გაფორმდა 22 ხელშეკრულება ღირებულებით 441 593 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 15 ხელშეკრულება.

სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე 75750.26 ლარი; საბეჭდი ქაღალდის შესყიდვაზე-6952,5 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების და აქსესუარების შესყიდვა 1144 ლარი; საბურავების 3984 ლარი; სატელეფონო მომსახურების- 17858 ლარი; აკუმულატორი 215 ლარი; ნაგვის კონტეინერები -54000ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ნებართვების საფუძველზე საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 12 ხელშეკრულება ღირებულებით 119 574 ლარი.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ფარგლებში გაფორმდა 5 ხელშეკრულება ღირებულებით 10612 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან ამ ინფორმაციაზე შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე